სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

06 აგვისტო 2024

N 21/8266

სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალს“
მის: ქ. თბილისი, იალბუზის ქუჩა №14
ელ. ფოსტა: laitn0@bp.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №7624 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

როგორც სააგენტოს 2024 წლის 2 მაისის №21/4580 წერილით გეცნობათ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე. წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე კვლავ თანდართულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმებისა და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტები, ხოლო სკრინინგის განცხადების ტექსტური ნაწილი მოიცავს მითითებებს კონკრეტული ინფორმაციების თანდართულ ზდგ-ისა და ზდჩ-ის პროექტებში ასახვის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მომზადებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/8266-21-2-202408060958